

პრესრელიზი

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი (GIG) თურქეთში ელექტროენერჯის ტრანზიტს იწყებს

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფში (GIG) შემავალმა კომპანიამ “Global International Energy Corporation” (GIEC) საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გამოცხადებულ აუქციონში გაიმარჯვა და თურქეთის მიმართულებით 300 მგვტ-ის ალოკაცია (განაწილებული სიმძლავრე) მოიპოვა.

ელექტროენერჯის ტრანზიტი ახალციხე-ბორჯხას 400 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით განხორციელდება.

ამ პროექტით საქართველო, რეგიონის მასშტაბით ენერგობაზარზე სტრატეგიული და მნიშვნელოვანი პარტნიორის სტატუსს იძენს, რაც საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ (GSE) 2014 წლის 19 ნოემბერს, სისტემათაშორისი ტრანზიტისათვის (გადადინებისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის განაწილება/გადანაწილების სპეციალური აუქციონში გამარჯვებული კომპანია -“Global International Energy Corporation” გამოავლინა.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

